საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 სექტემბერი, 2014 წ. ქ. ბათუმი

ბრძანება№01-08/45

რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამაზე ,,სამედიცინო რადიოლოგია“ მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“ და 2014 წლის 4 თებერვლის №01–6/ნ ,,სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის 2012 წლის 23 ოქტომბრის №02/66547, 2013 წლის 07 ოქტომბრის №02/90152 და 2014 წლის 30 აპრილის №02/35935 წერილების, ,,დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილების, ბსუ-ს რექტორის 2012 წლის 7 ივნისის №01-08/21 ბრძანებისა და ბსუ-ს სარეზიდენტო პროგრამის ,,სამედიცინო რადიოლოგია“ ხელმძღვანელის, მედიცინის დოქტორ დავით ცეცხლაძის 2014 წლის 23 სექტემბრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ფარგლებში მოქმედი სარეზიდენტო პროგრამის ,,სამედიცინო რადიოლოგია“ ვაკანტურ 12 ადგილზე გამოცხადდეს მისაღები კონკურსი;

2. უმცროსი ექიმებისა და საექიმო სპეციალობის მაძიებელთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ–ს კანცელარიაში 2014 წლის 24 სექტემბრიდან 03 ოქტომბრის ჩათვლით 10სთ–დან 18სთ–მდე, შაბათ–კვირის გარდა;

3. თუ სპეციალობის მაძიებელთა რაოდენობა აღემატება 12–ს, ჩაირიცხება ის პირი, რომელსაც ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება. თანაბარი შეფასების შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად;

4. სპეციალობის მაძიებლის ჩარიცხვის ბრძანება გამოცემულ იქნას კონსკურსის შედეგების შესახებ სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე;

5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

6. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52);

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე,

ასოცირებული პროფესორი **ი. ბარამიძე**